საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №55

ქ. ბათუმი 13 ივნისი, 2018 წ.

2018 წლის 17 სექტემბრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გიზო ფარცხალაძის (MES 5 18 00705465, 13.06.2018), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარინა გიორგაძის (MES 9 18 00705874, 13.06.2018), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ქეთევან ბერიძის (MES 9 18 00703515, 13.06.2018) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასაშვებად ჩაითვალოს 2018 წლის 17 სექტემბრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების ბსუ-ს ფაკულტეტების შემდეგ მიმართულებებზე არჩევა:

1.1. ფრანგული ფილოლოგია (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

1.2. საერთაშორისო ურთიერთობები (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

1.3. ტელეკომუნიკაცია (ტექნოლოგიური ფაკულტეტი);

1.4. ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები (ტექნოლოგიური ფაკულტეტი);

1.5. აგრონომია (ტექნოლოგიური ფაკულტეტი).

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (აკადემიური საბჭოს აქტების და კონკურსების ველებში) და დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტებს.

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**